# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 13

„18“ თებერვალი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.01.030.007.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, "ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.01.030.007.01.505) მდებარე, უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 11 დეკემბრის №19.1291.1617 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, მახათას შესახვევი №8-ში, მეორე სართულზე მდებარე 30.00 კვ.მ. ფართობის უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.01.030.007.01.505) პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, გელა ბარამაშვილთან (პ/ნ 01011029736) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე